ინსტრუქცია	
შეფასების ხანგრძლივობა	2 საათი
შეფასების გარემოს აღწერა	შეფასების პროცესი მიმდინარეობს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში, ელექტრონულად, Microsoft Forms-ის ფორმატით. აპლიკანტი დამოუკიდებლად ასრულებს დავალებებს, ხოლო საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს შეფასების კომისიის სამდივნოს წევრები აკვირდებიან აპლიკანტის მუშაობის პროცესს
შეფასებისათვის საჭირო რესურსი	ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი
შეფასების დადებითად მიჩნევის პირობები	თითოეულ შეკითხვაზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 50 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 8 ქულა. ტესტი შედგება რაოდენობრივი ხასიათის დავალებებისგან. დავალებები მოიცავს მათემატიკის სხვადასხვა სფეროს (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, მონაცემთა ანალიზი) და სამი სხვადასხვაგვარი ფორმითაა ჩამოყალიბებული: 1. რაოდენობრივი შედარება; 2. ამოცანები; 3. ცხრილის სახით წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი
შედეგების აპელაციის პირობები	აპლიკანტი უფლებამოსილია, შეფასების კომისიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისა, გაასაჩივროს სააპელაციო კომისიასთან, გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში
ინფორმაცია შეფასების კომისიასთან ტესტის შეთანხმების თაობაზე	რაოდენობრივი წიგნიერების ტესტი შეთანხმებულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს შეფასების კომისიასთან 2024 წლის 18 აპრილს.
გთხოვთ, გაითვალისწინეთ	1. დაუშვებელია გამოცდაზე დაგვიანება 2. რეგისტრაციის გასავლელად, აკადემიაში გამოცხადდით 13:00 საათიდან 3. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - დაბადების მოწმობა) 4. დაუშვებელია საგამოცდო სივრცეში ტელეფონისა და სხვა ელ. მოწყობილობების შეტანა 5. საგამოცდო სივრცეში დასაშვებია მხოლოდ სასმელი წყლის შეტანა 6. მუშაობის პროცესში არ უნდა გამოიწვიოთ ხმაური და ხელი არ შეუშალოთ სხვა აპლიკანტებს. შეკითხვის შემთხვევაში, აზრს აფიქსირებთ ხელის აწევით. 7. შეფასების კომისიის სამდივნოს წევრის მიერ გაფრთხილების მიცემის შემდეგ, დარღვევის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში, თქვენი ნაშრომი **არ შეფასდება!** 8. შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია მოგეწოდებათ შეფასებოს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, როგორც აკადემიისგან, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - vet.emis.ge-სგან.

გისურვებთ წარმატებებს!